პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი
№ 49 (13731)

კვირა, 26 თებერვალი, 1967 წ.

ფასი 2 კაპ.

საიუბილეო ვახტზე

მეტალურგთა წარმატებანი

ფოტოგრაფი გიგლიოთიკა

დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავ საპატიო საიუბილეო ვახტზე ახალახალ წარმატებებს აღწევენ რუსთაველი მეტალურგები. თებერვალში მარტენის საამქროს მეორე ბრიგადამ გეგმის ზევით უკვე გამოუშვა 300 ტონა მაღალხარისხოვანი ფოლადი.

სურათზე: მეორე ბრიგადის წევრები — მეფოლადის თანაშემწენი ს. ბენდელიანი (მარცხნივ) და ა. ბერბიჭაშვილი.

ფოტო ა. ჰელაძისა.

სპარტაკიადისათვის მზადება საყოველთაო-სახალხო საქმეა!

დიდი ზეიმისათვის — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის ემზადება მთელი ჩვენი ქვეყანა, თვითეული მოკავშირე რესპუბლიკა. სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე შემუშავებულია საიუბილეო წლის კონკრეტული გეგმები. მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკებმა, მშენებლებმა, კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკებმა გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს, რათა ახალი შრომითი წარმატებებით აღნიშნონ ეს დიადი იუბილე.

ამ საერთო შრომითს და პოლიტიკურ აღმავლობას მხარი აუბეს ფიზკულტურულმა კოლექტივებმა და ორგანიზაციებმა. ჩვენი სპორტსმენები ემზადებიან საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისათვის, რომელიც გაიმართება მოსკოვში 1967 წლის აგვისტოში.

სსრ კავშირის ხალხთა სამ წინა სპარტაკიადაზე საქართველოს სპორტულ დელეგაციას ეკავა მეხუთე საპატიო ადგილი მოსკოვის, ლენინგრადის, რუსეთის სფსრ და უკრაინის კოლექტივების შემდეგ. ახლა ამოცანა ის არის, რომ არათუ არ დავთმოთ მოკოვეული პოზიციები, არამედ უკეთესი ადგილიც მოვიპოვოთ.

როგორ ვემზადებით ამ დიდი გამოცდისათვის?

ჯერ კიდევ იანვარში ძირითადად დაკომპლექტდა საქართველოს ნაკრები გუნდები სპორტის სასპარტაკიადო სახეობებში. მათ მიემაგრნენ გამოცდილი მწვრთნელები.

სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო IV სპარტაკიადის გახსნამდე ექვს თვეზე ნაკლები დრო დარჩა. გასაკეთებელი კი ჯერ ბევრი რამ არის. სერიოზული ჩამორჩენაა სპორტის ისეთ სახეობებში, როგორიც არის მძლეოსნობა, ცურვა, წყალში ხტომა. ველოსპორტი. საქართველოს ცხენოსნებმა მომმე რესპუბლიკასთან წაგება სპორტის ისეთ სახეობით ქართულ სახეობაში, როგორიც არის ისინდი. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ მხოლოდ დაძაბული მუშაობაა საჭირო, რათა მდგომარეობა გამოვასწოროთ.

სპარტაკიადისათვის მზადება მარტო ფიზკულტურული ორგანიზაციების მოგალეთა როდია. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადაზე საპატიო ადგილის მოპოვება საყოველთაო-სახალხო. მთელი ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა სახელის საქმეა. ამიტომ იყო, რომ საქართველოს რაბჭარტის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ჯერ კიდევ შარშან იანვარში დაავალეს სამინისტროების, უწყებების, სასწავლებლების, საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს — ყოველნაირად დახმარებოდნენ სასპორტო ორგანიზაციებს ნაკრები გუნდების მთელი წლის სასწავლო-საწვრთნელი მუშაობისათვის საჭირო პირობების შექმნაში.

სამწუხაროდ კი ზოგიერთი ორგანიზაცია სათანადოდ ვერ აფასებს სპარტაკიადის მნიშვნელობას. მიუხედავად სპეციალური მითითებისა, სამტრესტის თბილისის ლიქიორისა და არყის ქარხნის, გულრიფშის კოლმეურნეობისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელები სამუშაოსაგან არ თავისუფლებენ ხელფასის შენარჩუნებით ნაკრები გუნდების წევრ სპორტსმენებს სპარტაკიადისათვის მათი მზადების პერიოდში.

უფრო მეტი: ბევრი ფიზკულტურული კოლექტივი ჯერ კიდევ უზრუნველყოფილი არ არის საკუთარი უმარტივესი სასპორტო ნაგებობებითაც კი, ხოლო ზოგიერთი ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანო საჭირო ღონისძიებებს არ იღებს იმისათვის, რომ არსებული სასპორტო ბაზები სანიმუშო მდგომარეობაში მოიყვანოს. ისეთ მხვნილ სასპორტო ნაგებობათა მშენებლობის დამთავრება და მოწყობა, როგორიც არის ნიბაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „სპარტაკის“ საცურავი აუზი ქ. ბათუმში და დოსაფისა — ქ. სოხუმში, სტადიონი ქ. ბორჯომში, მონკავშირის სასროლო-სამონადირეო სტენდი ქ. თბილისში და ბევრი სხვა ბაზა, წლობით ჭიანურდება.

მაგალითად, მთავრობილისმშენს დავალებული ჰქონდა ჯერ კიდევ 1966 წლის პირველ კვარტალში გადაეცა საექსპლოატაციოდ საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის ძალოსნობის სამდარბაზიანი სასპორტო კორპუსი, ეს ობიექტი დღემდე არ არის დამთავრებული. დარღვეულია დაბა ლესელიძეში ოლიმპიური ბაზის მშენებლობის დამთავრების ყველა ვადაც. ამ ბაზას საქმიდროენერგომშენი აშენებს.

ყველასათვის ცნობილია, რომ სპორტის ძალა მის მასობრიობაშია. ამიტომაც არის, რომ სპორტსმენთა რიგები განუწყვეტლივ იზრდება. სასიამოვნოა, რომ საქართველოში ამჟამად აღრიცხვაზე აყვანილია ფიზიკური კულტურის 6.724 კოლექტივი, რომლებშიც ერთიანებულია ერთ მილიონზე მეტი მშრომელი და მოსწავლე. ახალგაზრდა, ისინი სხვადასხვა ფორმის ფიზიკურ ვარჯიშში არიან ჩაბმულნი და რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის ოც პროცენტზე მეტს შეადგენენ.

ეს ციფრები იმაზე მეტყველებენ, რომ ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყოველ მეხუთე მოქალაქეს თავის საყვარელ ადგილად მიაჩნია სტადიონი, აუზი, სპორტული ბაზა, ეწევა სპორტულ ტანვარჯიშს ჯანმრთელობის ჯგუფებში და თავისუფალ დროს ტურისტულ ლაშქრობებს ანდომებს.

მაგრამ ეს სრულებითაც არ არის საკმარისი. ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამ უნდა გააკეთონ, რომ მიაღწიონ მასობრივ ოსტატობას სპორტში.

სპორტი არ განვითარდება, ინტერესს მოკლებული იქნება, თუ არ მოეწყო შეჯიბრებანი. რაც უფრო მეტი მონაწილე გამოვა სტარტზე, მით უფრო მეტი ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენი გამოვლინდება. როცა შეჯიბრებაზე ვლაპარაკობთ, მარტო დიდი მასშტაბის შეჯიბრებები კი არ უნდა ვიგულისხმოთ, რომლებსაც მნიშვნელოვანი სახსრები და სპეციალური ორგანიზაცია სჭირდება. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ფიზკულტურისა და სპორტის საფუძველია საფუძველია შეჯიბრებები თვით ადგილებზე, ეზოებში, ოჯახებში. არავისთვის არ ეჩრდილებოდეს, ადგილ-ადგილ სადაოს, რომ სპორტსმენი შეჯიბრებებში იზრდება, ოსტატდება.

ჩვენს რესპუბლიკაში კი ჯერ კიდევ ნაკლებად ეწყობა შიდარაიონული და სარაიონთაშორისო სპარტაკიადები, სკოლების, სასწავლებლების, საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ბრიგადების, ფიზკულტურულებლის ამხანაგური შეჯიბრებები.

ამ ხარვეზების გამოსწორება სპარტაკიადისათვის მზადების ერთ-ერთი გარანტია, ახალი სპორტსმენთა კადრების მომზადების საუკეთესო პირობაა.

მოსახლეობაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობისათვის საქართველოს სპორტკავშირის რესპუბლიკური საბჭო შვიდი წელია ზედიზედ ინარჩუნებს საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს გარდამავალ წითელ დროშას.

ეს დიდ მოვალეობას გვაკისრებს.

სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო IV სპარტაკიადამ დიდი საზრუნავი გაუჩინა ჩვენს ხალხს, ჩვენს სპორტულ ახალგაზრდობას. ახლა მთავარია მაქსიმალურად გამოვიყენოთ დარჩენილი დრო. ყოველი გაცდენილი ვარჯიში, დაკარგული ყოველი დღე დააქვეითებს ჩვენს სპორტულ მაჩვენებლებს სპარტაკიადაზე. ამიტომ საქართველოს სსრ სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირმა, სპორტულმა კოლექტივებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რომ გადაჭრით გაძლიერდეს სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა, რათა სანიმუშოდ მოვამზადოთ თვითეული კოლექტივი, გუნდი, სპორტსმენი ამ დიდი საპასუხისმგებლო სპარტაკიადისათვის.

წელს მაისსა და ივნისში თბილისში მოეწყობა მოსწავლეთა რესპუბლიკური და საქართველოს სსრ IV საზაფხულო სპარტაკიადები. მათი სანიმუშოდ მომზადება და ჩატარება უნდა იყოს სპორტული ძალების სერიოზული შემოწმება სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადის წინ.

სპარტაკიადისათვის მზადება საყოველთაო-სახალხო საქმეა!

გამარჯვებულნი

ბიათურა. (საკ. კორ.). მაღალნაყოფიერად მუშაობს ლენინის ორდენოსანი მარგანეცის ტრესტის ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის კოლექტივი.

ამ დღეებში ფაბრიკის კოლექტივმა მოსკოვიდან საბჭოთა დელეგაციისა მიიღო. სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მრეწველობის მინისტრი ი. კაზანეცი და მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ი. კოსტიუკოვი ფაბრიკის კოლექტივს ულოცავენ მეოთხე კვარტალის მაჩვენებლებით საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებას, მეორე ადგილს და უსურვებენ ახალ წარმატებებს დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ფაბრიკის კოლექტივი ადაფრთოვანა შრომის ესოდენ შეფასებამ. აქ კარგად იმუშავეს იანვარში და ასევე შრომობენ თებერვალშიც.

ახალი მოდელის...

ქუთაისი. (საკ. კორ.). ტყავეფხსაცმლის კომბინატის კოლექტივმა აითვისა და ამ დღეებში მომხმარებლებს უკვე გაუგზავნა ახალი მოდელის ფეხსაცმელი — ქალის დაბალქუსლიანი ტუფლები, ქალის დამბილული წაღები, ბავშვის ტუფლები და დაბალყელიანი ჩექმები.

სამგორელები საოქტომბროდ

გარდაბანი. (საკ. კორ.). სამგორის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა ახალ წარმატებებს უმზადებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

მეურნეობის კოლექტივმა გადაწყვიტა ხოცის, ძროხის და მებოსტნეობის პროდუქტების წარმოების მიმდინარე წლის დავალება 7 თებერვლისთვის შეასრულოს.

მეურნეობამ უკვე დაამთავრა ვენახებისა და ხეხილის ბაღების დამუშავება. ახლა აქაური მშრომელები სიმინდის ლიკვიდაციის საკითხებს აგვარებენ და სასათბურო მეურნეობის სანიმუშოდ მოწყობისათვის ზრუნავენ. ამასთან ნაკვეთებში შეაქვთ ორგასული და მინერალური სასუქები.

დღითიდღე იზრდება წველადობა. კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 24 ტონა ხორციდან უკვე იანვარში ჩაბარეს 22 ტონა ხორცი. გადაჭარბებით არის შესრულებული სახელმწიფოსთვის რძის მიყიდვის იანვრის სახელმწიფო გეგმაც.

ვალდებულება შეასრულეს

□ საქართველოს კპ ჩოხატაურის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. ამინტრაძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. მამალაძემ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს, რომ ჩოხატაურელმა მეტალურგებმა საიუბილეო წელს პირველი წარმატება მოიპოვეს. 21 თებერვლისათვის გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 1.145 ცენტნერი ხორცი ნაცვლად 900 ცენტნერისა, 1.250 ცენტნერი რძე ნაცვლად 1.200 ცენტნერისა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ბანასლების, ბუპანარის, ვანისა და ზომლეთის კოლმეურნეობათა მეცხოველეებმა.

□ ონის რაიონის მშრომელებმა, — აცნობეს „კომუნისტის“ რედაქციას საქართველოს კპ ონის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. აბაიშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. მინდლაძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ბ. გოცირიძემ, — სახელმწიფოს მიჰყიდეს 1.476 ცენტნერი ხორცი ნაცვლად პირველი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 1.150 ცენტნერისა, 1.760 ცენტნერი რძე ნაცვლად 1.700 ცენტნერისა.

ლ. ი. ბრეჟნევისა და ვაცლავ დავიდის საუბარი

24 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ვაცლავ დავიდს, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება სსრ კავშირში საბჭოთა მთავრობის სტუმრად.

საუბრის დროს განიხილეს საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის შემდგომი ყოველმხრივი თანამშრომლობის საკითხები. საუბარს გულთბილ, მეგობრული ხასიათი ჰქონდა.

საუბარში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, საბჭოთა კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში ს. ვ. ჩერვონენკო. ჩეხოსლოვაკიის მხრივ საუბარში მონაწილეობდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ჩეხოსლოვაკიის ელჩი საბჭოთა კავშირში ო. პაველკაკი. (საკდესი).

ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა 25 თებერვალს მიიღო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს პრეზიდიუმის წევრი, კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე კიმ ირი.

საუბრის დროს განიხილეს საბჭოთა კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიური ურთიერთობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხები, საუბარმა ამხანაგურ, გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა პოლონეთის მარშალს მ. სპიხალსკის

25 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრს პოლონეთის მარშალს მარიან სპიხალსკის, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება სსრ კავშირში.

საუბრის დროს განიხილეს ორივე მხარისათვის საინტერესო მთელი რიგი საკითხები.

საუბარი მიმდინარეობდა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში.

საუბარში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების გაერთიანებული შეიარაღებული ალების მთავარსარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო. (საკდესი).

მეგობრული ვიზიტით

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით 25 თებერვალს მოსკოვში არაოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. იანოშ კადარი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ი. ვ. ანდროპოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ამხ. ა. ა. გრომიკო და სხვა ოფიციალური პირნი.

(საკდესი).

ცეკვის ჯადოქრები

24 თებერვალს საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობებმა, რომლებსაც მთელ მსოფლიოში სამართლიანად ეძახიან ცეკვის ჯადოქრებს, კრემლის ყრილობათა სასახლეში კონცერტი გამართეს.

ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელმა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ნ. რამიშვილმა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განმარტა, რომ კონცერტის პროგრამაში, რომელიც კოლექტივის ოცი წლის მუშაობის შემოქმედებითი ანგარიშია, შეტანილია სხვადასხვა წლების ნაწარმოებები. მათ შორის რამდენიმე ცეკვა ახალი რედაქციითაა. ესენია „ხორუმი“, „ქართული სიუიტა“, ოსური მასობრივი ცეკვა „სიმდი“, აგრეთვე ანსამბლის სრულიად ახალი ნაწარმოები „ანანურის კლასიკური ცეკვა“.

საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისათვის ანსამბლი უჩვენებს საიუბილეო პროგრამას. ამ პროგრამაში შევა: „ქაჯეთის ციხის აღება“ და განვლილი ომის თემებისადმი მიძღვნილი სიუიტა.

— ჩვენს უახლოეს გეგმებში შედის ახალი მოგზაურობანი საზღვარგარეთ — ინგლისში, იტალიასა და თურქეთში, — თქვა ნ. რამიშვილმა.

დღეს, ისევე როგორც ყოველთვის, შესანიშნავად ქართველმა მსახიობებმა მოხიბლეს მოსკოველები თავიანთი ცეკვების, ცეცხლოვანი ტემპერამენტითა და ბრწყინვალე ქორეოგრაფიული ოსტატობით. თბილისელი სტუმრები მოსკოვში 6 მარტამდე დარჩებიან.

ქართული ფილმების ფესტივალი

25 თებერვალს ერევანში დაიწყო ქართული ფილმების ფესტივალი. ფესტივალი ეძღვნება 50 წლისთავს. მოძმე რესპუბლიკაში საბჭოთა ხელოვნების დამყარების 46-ე წლისთავს.

ფესტივალის დღეებში, რომელიც 3 მარტამდე გაგრძელდება, ერევნელები ნახავენ შემდეგ კინოსურათებს: „უფაიმოდ თამაში“, „ჯარისკაცის მამა“, „პიერი — მილიციის თანამშრომელი“, „სხვისი შვილები“, „ქეთო და კოტე“ და სხვ.

ფესტივალზე ნაჩვენები იქნება აგრეთვე ქართველ დოკუმენტალისტთა ფილმები: „საქართველოს ტურონტებზე“, „სიტყვა კურნაზს“, „დაუმთავრებელი დღიური“, „ჩვენ ვიცავდით კავკასიას“, „ბრძოლური ირაკლი გამრეკელი“.

(საკდესის კორ.).

საქართველო ემზადება არჩევნებისათვის

მაღალი პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში ხვდებიან რესპუბლიკის უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს გეგეჭკორის რაიონის სოფელ ნაგვაზაოს კოლმეურნეები. ეწყობა საუბრები, ლექცია-მოხსენებები. ამომრჩევლებთან მუშაობაში განსაკუთრებით გამოირჩევიან № 5 საარჩევნო უბნის პოლიტორგანიზატორები, კომკავშირელები ზოია თაკვარელია, ელიკო ჯღარკავა, იური ჩიხლაძე, ჰამლეტ ჯღარკავა და ნატრული გადელია, რომლებსაც თქვენ ამ სურათზე ხედავთ (მარცხნიდან მარჯვნივ).

აი ახლაც ისინი საუბრების გასამართავად მიემართებიან ამომრჩევლებთან.

ფოტო გ. ჯაველისა.

მზარდი აქტივობა

ქარელი. (საკ. კორ.). მოსახლეობაში მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ეწევა 600-ზე მეტი პოლიტორგანიზატორი. ორჩევნებთან დაკავშირებით პარტიის, რაიონულმა კომიტეტმა მოაწყო იდეოლოგიურ მუშაკთა რაიონული თათბირი. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, ამომრჩეველთა კლუბების ხელმძღვანელები, ლექტორ-მომხსენებლები და პროპაგანდისტები.

ლექტორ-მომხსენებლები მოსახლეობაში კითხულობენ ლექციებ-მოხსენებებს, აწყობენ საუბრებს.

გაიმართა სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებში.

დეპუტატების თაოსნობით

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). ოცდახუთი დეპუტატი ჰყავს ფარცხნალის სასოფლო საბჭოს. მათი თაოსნობით ბევრი რამ გაკეთდა სოფლის კეთილმოწყობისა და მშრომელთა კეთილდღეობისათვის.

სოფელ ღუდუმჭედსა და თაბუკაშვილების უბანში მოეწყო ელექტროწისქვილი. ფარცხნალიდან დაბა ორჯონიკიძემდე შეკეთდა სამანქანო გზა, ხოლო ახალსოფლის მიმართულებით ახალი გზა გაიყვანეს.

აშენდა რვაწლიანი სკოლის კაპიტალური შენობა, შემოიღობა სკოლისა და კლუბის ეზო, შენდება საკოლმეურნეო კლუბკინტორის კაპიტალური ნაგებობა.

ამ კარგი საქმეების თაოსნები არიან დეპუტატები ო. ბუაჩიძე, თ. კობრეიძე, შ. შარიქაძე, დ. თაბუკაშვილი, გ. ლეჟავა, თ. სებისკვერაძე. ახლახან დეპუტატებმა ანგარიში ჩაბარეს ამომრჩევლებს. მშრომელებმა მოითხოვეს სოფელში კარგი მაღაზიის აგება, სასმელი წყლით სოფლის უზრუნველყოფა. დეპუტატები ამ განაწესსაც შეასრულებენ.

რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა დაათვალიერეს იტალიის გამოფენა

მეორე კვირაა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე მუშაობს იტალიის ათი ფირმის ჩარხებისა და ელექტრონული მოწყობილობის გამოფენა, რომელიც პირველია საბჭოთა კავშირში. ექსპოზიციაში წარმოდგენილია იტალიის მრეწველობის ნაწარმის 130 საუკეთესო ნიმუში.

25 თებერვალს გამოფენაზე იყვნენ ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, პ. ა. როდიონოვი, გ. ი. ჩოგოვაძე, ო. ი. ლოლაშვილი. რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა მაღალი შეფასება მისცეს ჩარხებისა და ელექტრონული მოწყობილობის ნიმუშებს, რომლებიც გამოფენაზეა ექსპონირებული. ახსნა-განმარტებას იძლეოდნენ იტალიის ფირმების წარმომადგენლები. რესპუბლიკის ხელმძღვანელებს ახლდა საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის თავმჯდომარე რ. ს. ელიგულაშვილი. (საკდესი).

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის სასახელო მეცნიერების ... ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტში

ამ დღეებში გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ თვალსაჩინო მეცნიერები, ცენტრალური ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები. სხდომა მიეძღვნა სამეცნიერო ორგანიზაციათა მუშაობის ეფექტიანობის გადიდებისა და მეცნიერების მიღწევათა სახალხო მეურნეობაში გამოყენების დაჩქარების საკითხებს.

შესავალ სიტყვაში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა მ. ვ. კელდიშმა მოკლედ ჩამოაყალიბა კომიტეტსა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში მომზადებული წინადადებანი ამ საკითხებზე.

სხდომის დასასრულს გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, რომელმაც აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს განსახილველ საკითხს არა მარტო თვით მეცნიერების განვითარებისათვის, არამედ აგრეთვე ტექნიკური პროგრესისათვის, მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის.

... ფერად ტელევიზიაში

ფერადი ტელევიზიის დარგში თანამშრომლობის შესახებ სსრ კავშირისა და საფრანგეთის შეთანხმების განვითარების მიზნით 24 თებერვალს მოსკოვში საფრანგეთის ფერადი ტელევიზიის ფირმამ და სრულიად საკავშირო გაერთიანებამ „ტექნომაშეგვიმპორტმა“ ხელი მოაწერეს კონტრაქტს, რომელიც ითვალისწინებს, რომ საფრანგეთი სსრ კავშირს მოაწვდის ახალი ტიპის უნიფერო ფერადი კინესკოპების წარმოების საიდუმლო დანადგარის მოწყობილობას.

კონტრაქტის პირობებით გათვალისწინებულია აგრეთვე საბჭოთა და ფრანგი სპეციალისტების, თანამშრომლობა ფერადი უნიფერო კინესკოპების დამზადების ტექნოლოგიის ათვისებაში, კონსტრუქციისა და მოწყობილობის სრულყოფაში, რაც ხელს შეუწყობს მათი სერიული წარმოების დაწყებას ორივე ქვეყანაში.

კონტრაქტს ხელი მოაწერეს საფრანგეთის ფერადი ტელევიზიის ფირმის საფინანსო დირექტორმა შიშელ დიუბოამ და „ტექნომაშეგვიმპორტის“ თავმჯდომარის მოადგილემ ი. ბ. ისაკოვმა. (საკდესი).

ДИД САХЕЛЕ ДИДИ ЕНЕРГИА

Ა. თხილაიშვილი,
საქართველოს კპ აბაარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

◆

ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ, რომელიც ყოველ ჩვენგანს უწინარეს ყოვლისა ეუფლება ათიუბილეო წელს, ეს არის სიამაყე თავისი ქვეყნისათვის, ლენინის პარტიისათვის. XXIII ყრილობის მიერ დასახული ამოცანები ახალ ძალებს გვმატებს. ისინი მოგვიწოდებენ ვიმუშაოთ დიდი შთაგონებით. და საწარმოთა, მშენებლობათა, ტრანსპორტის კოლექტივებიც, სოფლის მეურნეობის მშრომელებიც სულ უფრო ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, კისრულობენ გადიდებულ ვალდებულებებს სახელოვანი ისტორიული თარიღის აღსანიშნავად.

როცა ვფიქრობთ მომავლის პერსპექტივებზე, უნებლიეთ გვაგონდება განვლილი გზა. ბოლო წლებში ტრადიციულად იქცა აბაარის საწარმოთა მიერ საბჭოსმფროო გეგმების ვადამდე დიდი გადამეტებით შესრულება. გასული წლის საწარმოო გეგმა 104 პროცენტით შესრულდა. პროდუქციის გამოშვების მოცულობა წინა წელთან შედარებით 11 პროცენტით გაიზარდა.

შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. აბაარამ საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა შეასრულა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. მან სამშობლოს მისცა 35.577 ტონა „მწვანე ოქრო“. ეს კი ის დონეა, რომლისთვისაც უნდა მიგვეღწია 1970 წელს. ჩვენმა სახელოვანმა მეჩაიეებმა საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანეს 5.616 კილოგრამი მოსავალი. ეს სარეკორდო მსოფლიოში. ცალკეულმა კოლმეურნეობებმა კი საშუალოდ ჰექტარზე 8-10 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფეს.

მეჩაიეებს მხარი მისცეს მეციტრუსეებმა. ჩვენში ყოველწლიურად მზადდება საქართველოში წარმოებული ციტრუსების ოთხი მეხუთედი. გასულ წელს სახელმწიფოს ჩავაბარეთ 30 ათას ტონაზე მეტი ციტრუსი (გეგმის 200 პროცენტი).

დიდი წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობის სხვა დარგებშიც. ეს გამარჯვებები თავისთავად არ მოსულა. ისინი მიღწეულ იქნა ქალაქისა და სოფლის მშრომელთა თავდადებული შრომის, პარტიული ორგანიზაციების უნარიანი ხელმძღვანელობის მეოხებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1964 წ.) პლენუმის შემდეგ ამაღლდა პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა და კომუნისტთა ავანგარდული როლი, მკვეთრად გაძლიერდა მასებში ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა. ამჟამად აბაარის 822 პარტიული ორგანიზაცია ითვლის 17.421 წევრსა და კანდიდატს. პირველადი ორგანიზაციები სისტემატურად სრულყოფენ პარტიულ მუშაობის სტილსა და მეთოდებს, დღითიდღე აუმჯობესებენ მასობრივ-პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას, მუდმივად ზრუნავენ კადრების აღზრდასა და სწორ განაწილებაზე, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებაზე.

საილუსტრაციოდ მოვიყვან რამდენიმე მაგალითს:

ქობულეთის რაიონის ციხისძირის საბჭოთა მეურნეობაში ბოლო წლებში შესუსტდა მეურნეობისადმი ხელმძღვანელობა, რის გამო ვერ სრულდებოდა მთელ რიგ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის გეგმები, ადგილი ჰქონდა მოსავლის დაკაცებას. კომუნისტები დაირაზმნენ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. მათ ბრძოლა გააჩაღეს მოწინავე აგროწესების დანერგვისათვის. აგრორაიონებსა, ბრიგადებსა და თვითეულ მუშას შორის გაჩაღდა შეჯიბრება, გაძლიერდა პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა.

პარტიული ორგანიზაციის, მეურნეობის მთელი კოლექტივის ერთსულოვანმა ლენინისძიებებმა სახურველი შედეგი გამოიღო. შარშან გეგმით გათვალისწინებული 500 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს ჩაბარდა 1.040 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი. ცენტნერი ნაყოფის თვითღირებულება გეგმასთან შედარებით 6 მანეთითა და 55 კაპიკით შემცირდა. მეურნეობის მოგებამ ნახევარ მილიონ მანეთს მიაღწია.

ძველათ ის ადგილები, სადაც ახლა ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობაა გაშენებული, ჭაობითა და ეკალბარდით იყო დაფარული. პარტიის მოწოდების საპასუხოდ იქ მივიდნენ ადამიანები, რომ უპატრონოდ მიტოვებული მიწა ხალხის სამსახურში ჩაეყენებინათ. ეკალბარდი შეცვალა ჩაის თვალუწვდენმა პლანტაციებმა, გაშენდა ნაძვისა და ევკალიპტის ხეივნები, აღიმართა თეთრად მოქათქათე მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინები, აშენდა კლუბი, მოასფალტდა საალანტაციო გზები.

ასე დამორჩილდა ბუნება ადამიანთა ნებას. ახლა ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი უმდიდრესია აბაარში. აქ შარშან მოკრიფეს 3.300 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაი. ოჩხამურელებმა საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანეს 6.890 კილოგრამი მოსავალი. მათ გარდანამეტი თანხით თავიანთ შვილებს შესანიშნავი საჩუქარი მიუძღვნეს — ააშენეს სკოლის კაპიტალური შენობა 550 მოსწავლისათვის, შეიძინეს ინვენტარი კაბინეტებისა და ლაბორატორიებისათვის.

რა დიდი ამოცანებიც უნდა ჰქონდეს გადასაწყვეტი თვითეულ პარტიულ ორგანიზაციას, მისი ყურადღების ცენტრში უნდა იყვნენ ადამიანები, იგი დაინტერესებული უნდა იყოს მათი მუშაობით, ზრუნავდეს ხალხის საწარმოო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. იქ, სადაც ასე იქცევიან შედეგებიც კარგია.

ბათუმის რაიონის ახალშენის კოლმეურნეობის წარმატებები განაპირობა ხალხის თავდადებულმა შრომამ. აქ ფართო გასაქანი აქვს პირად ინიციატივას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შრომის მოწინავე მეთოდების ურთიერთგაზიარებას. ცნობილ მეჩაიეს, ლენინის ორდენოსან მ. სურმანიძეს, სკკპ XXIII ყრილობის მონაწილეს ნანუშ ლომინაძეს, ნორა დოლიძესა და სხვებს სოფლის თვალს უწოდებენ. მათ უანგარო შრომით დაიმსახურეს ხალხის სიყვარული. მოწინავეებად კი ისინი პარტიულმა ორგანიზაციამ აღზარდა. კოლმეურნეობის პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში 150 წევრია. ეს ისეთი ძალაა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მუდამ წარმატებით იქნას გადაჭრილი სოფლის წინაშე მდგომი ყველა ამოცანა.

ახალშენელებს ბევრი რამ აქვთ საამაყო. სოფლის ცენტრი ანლა უკვე პატარა ქალაქს წაგავს. საგულდაგულოდ არის მოვლილი როგორც საკოლმეურნეო, ისე საკარმიდამო ნაკვეთები. ახალშენელებმა ციტრუსების დაბადების 1966 წლის გეგმა 130 პროცენტით შეასრულეს, თავი ისახელეს მათ ჩაის კრეფის ფრონტზეც.

ახალშენელებს დიდი გეგმები აქვთ დასახული საუბილეოდ. მათი ენერგიული შრომა უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ სოფლის მეურნეობის ყველა დარგში მნიშვნელოვან მიღწევებს მოიპოვებენ.

შრომაში გამარჯვებულმა ადამიანებმა შექმნეს ბედნიერი ცხოვრება. აშენეს ლამაზი ოდა-სახლები, კულტურულად მოაწყეს ბინები. ილიჩის ნათურა, რადიო, ტელევიზორი დამკვიდრდა თანამედროვე სოფლის ცხოვრებაში.

საქალაქო და რაიონული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად მუშაობენ წარმოების საკითხებზე, რაზმავენ მშრომელებს საწარმოებსა და მშენებლობებზე საგეგმო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ზრუნავენ ტექნიკური პროგრესისათვის, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, მხარს უჭერენ და წარმოებაში ნერგავენ ყოველივე ახალს, პროგრესულს.

ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხანაში საამქროების რეკონსტრუქცია და სხვა სამუშაოები კომუნისტთა თაოსნობითა და აქტიური მონაწილეობით სრულდება. პარტიული ორგანიზაცია და დირექცია განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებისადმი. ყოფილმა მუშებმა ვ. გიგინეიშვილმა, ს. დვალიშვილმა, მ. დუნდუამ და სხვებმა წარმოების სტიპენდიათ მიიღეს უმაღლესი განათლება და ინჟინრები გახდნენ. XXIII ყრილობის დელეგატი შ. გალოგრე ამჟამად 6 დაზგაზე მუშაობს; მან თავისი რაციონალიზატორული წინადადებებით ქარხანას ათასობით მანეთი ეკონომია მისცა.

კომუნისტთა ავანგარდული როლი ნათლად ჩანს ბათუმის ნავსადგურის ფლოტის კომუნისტების მუშაობის მაგალითზე.

კოლექტივის ავანგარდში არიან აგრეთვე ბათუმის გემთსაშენი ქარხნის კომუნისტები, რომლებიც შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების კარგ მაგალითს იძლევიან. პარტიულმა ორგანიზაციამ ისე მოაწყო მუშაობა, რომ გადამწყვეტ უბნებზე მომუშავეთა 40 პროცენტი კომუნისტია. ისინი გეგმებს დიდი გადამეტებით ასრულებენ. საწარმოს კომუნისტებმა მარტო შარშან 39 რაციონალიზატორული წინადადება შეიტანეს, რითაც 9 ათასი მანეთის ეკონომიური ეფექტი მიიღეს.

წელს კოლექტივმა ვალდებულება იკისრა პროდუქციის თვითღირებულება შეამციროს 5 პროცენტით, ხოლო პროდუქციის გამოშვება გაზარდოს 2,5 პროცენტით, სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის ითვისოს პროდუქციის მთელი რიგი ახალი სახეები.

კომუნისტური შრომის საპატიო სახელის მოპოვებისათვის ბრძოლას, საოთავეში პარტიული ორგანიზაციები უდგანან. ამჟამად ეს საპატიო წოდება მინიჭებული აქვს 300-ზე მეტ ბრიგადას, 50-ზე მეტ საამქროსა და უბანს, 5 საწარმოს, ხოლო კომუნისტური შრომის დამკვრელია 4 ათასზე მეტი კაცი.

ჩვენში სულ უფრო მცირდება ისეთი საწარმოთა რიცხვი რომლებიც ვერ ასრულებენ სახელმწიფო გეგმებს. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ უკვე ყველაფერი რიგზეა. მაგალითად, ხის დამამუშავებელმა კომბინატმა, ყუთების ქარხანამ, თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანამ შარშან სახელმწიფოს დააკლეს ათეული ათასობით მანეთის პროდუქცია.

პარტიის საოლქო კომიტეტის პიროო სისტემატურად ისმენს პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტების ანგარიშებს ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ცალკეულ საკითხებზე. ამას წინათ პარტიის საოლქო კომიტეტის პლენუმმა მოისმინა ბათუმის რაიკომის ანგარიში სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

როგორც პლენუმზე აღინიშნა, პარტიის რაიკომები თავიანთ საქმიანობაში ეყრდნობიან პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, კომუნისტებს, პარტიულ აქტივს. ჯეროვანი ყურადღება ექცევა პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლისა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა საკითხის გადაწყვეტაში. ახლა უფრო მეტი ყურადღება ექცევა პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და პარტჯგუფორგების სწავლებას. ამ მიზნით პარტიულ ორგანიზაციებს მდივნებისათვის ეწყობა სემინარული მუშაობა, ხოლო პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან შექმნილია ერთწლიანი პარტიული სკოლა ახალარჩეული მდივნებისათვის. საოლქო კომიტეტთან კი მუშაობს პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ხელმძღვანელ მუშაკთა სემინარი. პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობის ერთ-ერთი მთავარი უბანია პარტიის რიგების შევსება უნარიანი, ინიციატივიანი, საერთო საქმისათვის თავდადებული ადამიანებით.

როგორც ცნობილია, აბაარის მშრომელებმა სასახელოდ იზრუნეს ხუთწლედის პირველ წელს. მაგრამ მათ უფრო დიდი გეგმები აქვთ დასახული საუბილეო წელს.

პარტიის საოლქო კომიტეტის პლენუმმა, რომელიც ამას წინათ გაიმართა, ერთსულოვნად მოიწონა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის მზადების ღონისძიებანი.

მრეწველობის მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს სამრეწველო პროდუქციის წარმოების მომდინარე წლის გეგმა 20 დეკემბრისათვის შეასრულონ და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს მილიონობით მანეთის პროდუქცია. მნიშვნელოვნად გაფართოვდება სამშენებლო სამუშაოები, აშენდება და საექსპლოატაციოდ გადაეცემა ახალი სკოლები, საავადმყოფოები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, საცხოვრებელი ბინები, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. 7 ნოემბრისათვის დამთავრდება ყველა სოფლის ელექტროფიკაცია.

სოფლის მეურნეობის მშრომელები წელს სახელმწიფოს ჩაბარებენ 34.500 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს (საგეგმო დავალებაზე 2.030 ტონით მეტს), 23.000 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფს (16.504 ტონის ნაცვლად), 13 ათას ცენტნერზე მეტ ხორცს, 45 ათას ცენტნერ რძეს, 5 მილიონ ცალზე მეტ კვერცხს, დიდძალ ხილს, ყურძენს, თამბაქოს, დაფნის ფოთოლს და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებს.

ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის სარეწველო პროდუქციის გამოშვების მრეცულობა გასულ შვიდწლედთან შედარებით გაიზრდება 45 პროცენტით, აშენდება ახალი მსხვილი საწარმოები, მათ შორის ელექტრომექანიკური ქარხანა, რომელიც ყოველწლიურად გამოუშვებს სხვადასხვა ტიპის 10.000 ელექტროკარს, ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა 7,5-ჯერ გაადიდებს თხევად გაზის გამოშვებას, 2,5-ჯერ გაიზრდება კოფეინის გამოშვება. მანქანათმშენებლები ქიმიური მრეწველობის ტექნოლოგიური მანქანებისა და მოწყობილობების გამოშვებასთან ერთად ხუთწლედში ითვისებენ ახალი სახეობის პროდუქციას. თავის პროდუქციას 38 პროცენტით გაზრდიან გემმშენებლები.

მიმდინარე ხუთწლედში 25 მილიონი მანეთი მოახმარდება კომუნალური, კულტურულ-საგანმანათლებლო, საყოფაცხოვრებო და სხვა ობიექტების მშენებლობას.

ახალ ხუთწლედში ავტონომიური რესპუბლიკის ჩაის პლანტაციებს შეემატება 600 ჰექტარი, გაიზრდება ჩაის მოსავლიანობა, რაც საშუალებას მოგვცემს 1970 წლისათვის დიდად გადავაჭარბოთ ნაკოხრ ვალდებულებას. უფრო დიდ წარმატებებს მოვიპოვებთ მეციტრუსეობაში. თუ შარშან აბაარაში სახელმწიფო გეგმა 15.500 ტონა ციტრუსების მიღებას ითვალისწინებდა, 1970 წლისათვის სახელმწიფოს მივეცემით 50 ათას ტონა ციტრუსებს.

სოფელი მიიღებს დიდძალ ახალ ტექნიკას, მეტი რაოდენობით სასუქებს. განხორციელდება დიდი სამელიორაციო სამუშაოები.

ყოველივე ეს პარტიულ ორგანიზაციებს ავალებს კიდევ უფრო გააძლიერონ თავიანთი როლი ბრძოლისუნარიანობა, სრულყონ მუშაობის სტილი და მეთოდები, საჭიროა ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, გავაქტიუროთ პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა.

პარტიული ორგანიზაციები ყოველთვის ძლიერი არიან კომუნისტთა შეგნებით, შეკავშირებით, აქტივობით.



10 ᲬᲔᲚᲘᲐ ობილისის ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხანაში მუშაობს ზეინკალი ო. ცომაია. ამ ხნის განმავლობაში მან წარმატებით შეისწავლა თავისი პროფესია და საწარმოს მოწინავე მუშათა რიგებში ჩადგა. ყოველდღიურ დავალებას იგი 160 პროცენტით ასრულებს და ამასთან მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქციას უშვებს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: საამპარატო საამქროს უფროსის მოადგილე ა. მამადაშვილი (მარცხნივ) ამოწმებს ზეინკალ ო. ცომაიას ნამუშევარს.

ფოტო ა. ჭელიძისა.

სსრ კავშირის ორდენების და მედლების გადაცემა

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში საბჭოთა კავშირის ორდენები და მედლები გადასცეს საბინაო-კომუნალური მეურნეობის, სრულიად საკავშირო საავტოსაზოგადოება „იტტრანსტის“ გასოფიერებელი, საგეგმო, საფინანსო, სტატისტიკური ორგანოებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მუშაკებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა **ზ. ა. კვაჭაძემ** წაიკითხა შესაბამისი ბრძანებულებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **გ. ს. ძოწენიძემ ლენინის** ორდენი და ოქროს medali **„ნამგალი და ურმ“** გადასცა თბილისის წყალსადენის სამმართველოს თბილისის საწყალსადენო ხელსაწყოთა ქარხნის ზეინკალს **შ. ი. ქორფაშვილს,** რომელსაც სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

ლენინის ორდენები მიიღეს თბილისის წყალსადენის საერთო-სამშენებლო სამმართველოს მუშამ **ვ. ი. აბრამიშვილმა,** „ინკერმანის“ ტრესტის საგზაო-საექსპლოატაციო უბნის ბრიგადირმა **შ. ფ. უნნაძემ,** საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილემ **ა. გ. სამსახტარაშვილმა.**

შრომის წითელი დროშის ორდენები გადასცეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სამმართველოს უფროსს **ნ. პ. არონიშიძეს,** თბილისის წყალსადენის სამმართველოს ქსელის უფროსს **ი. ი. ჯაკეჯაძეს,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს „საქლითონმარაგგასაღების“ თბილისის ბაზის მუშათა ბრიგადირს **ი. ს. უხერგუნაშვილს** და სხვებს.

„საპატიო ნიშნის“ ორდენები მიიღეს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს ზეინკალმა **ვ. ა. სანაძემ,** თბილისის წყალსადენის სამმართველოს სატუმბავი სადგურის მემანქანემ **თ. ე. ედიშერაშვილმა,** საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მანქანა-საანგარიშო სადგურის უფროსს **მ. ა. ფეიგინს** სსრ კავშირის მიბმებანაკეთის ტრესტის ... ტრესტის თბილისის საქალაქო ... ტორმა **ნ. ე. კაკაურიძემ** და სხვებმა.

medali **„შრომითი მამაცობისათვის“** გადაეცათ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს პარიკმახერს **ს. ი. გეგრიტაშვილს,** თბილისის პირველი მაისის რაიონის სპეცმეურნეობის მეეზოეს **ხ. გ. კოტოიანს,** თბილისის საქალაქო საბინაო სამმართველოს სათბობი სისტემების სარემონტო-სამშენებლო კანტორის უფროსს **გ. ბ. მუსერიძეს,** ქ. თბილისის რესტორან „ინტურისტის“ ოფიციანტს **ნ. გ. არჩვაძეს,** ქ. თბილისის სასტუმრო „ინტურისტის“ მძღოლს **ი. დ. ძელურს,** საქართველოს სსრ მინიჭატრთა საბჭოსთან არსებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს განყოფილების უფროს **ზ. ვ. ბერიშვილს** და სხვებს.

medali **„შრომითი წარჩინებისათვის“** მიიღეს თბილისის კანალიზაციის ტრესტის მუშამ **ზ. მ. ბერიძემ,** საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს უფროსმა ეკონომისტმა **ე. ქ. განჯუმოვამ,** ქ. თბილისის სასტუმრო „თბილისის“ უფროსმა დამლაგებელმა **ე. ვ. იარცევამ,** სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის უფროსმა ინკასტატორმა **ა. ხ. კაპანაძემ** და სხვებმა.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვები წარმოთქვეს სოციალისტური შრომის გმირმა **შ. ი. ქორფაშვილმა,** თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა **ა. ა. ქაჯაიამ,** სსრ კავშირის მშენბანაკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველმა **მ. კ. ჩიქობავამ.**

გ. ს. ძოწენიძემ გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულთ, უსურვა მათ ჯანმრთელობა და წარმატებანი ცხოვრებაში.

(საქდესი).

ᲛᲐᲦᲚᲐ ᲒᲕᲔᲭᲘᲠᲝᲡ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲐᲚᲛᲐᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲚᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

◆

ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ორგანიზაციათა ლენინური კომკავშირის უმცროსი ამხანაგი და თანამებრძოლი, მისი მებრძოლი რეზერვი. აი რატომ განიხილეს ესხოდენ დიდი ინტერესით საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის მონაწილეებმა დღის წესრიგის „პიონერთა საკითხი“.

მოხსენება — „რესპუბლიკის პიონერთა ორგანიზაციისადმი ხელმძღვანელობის შემდგომი განვითარების საქმეში რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის ამოცანები სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის II პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით“ — გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ო. ჩერქეზიამ.**

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ნინაბა,** საქართველოს ალკკ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ლ. სანაკოევი,** საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **შ. კიკნაძე,** კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **გ. გაბუნია,** მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **გ. წითლიძე,** გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქტორი **ვ. ცერცვაძე,** გორის მე-8 საშუალო სკოლის პიონერხელმძღვანელი **მ. ჩიკვაიძე,** საქართველოს ალკკ აბაარის საოლქო კომიტეტის მდივანი **ხ. ჯაველიძე,** კომკავშირის საგარეო რაიკომის პირველი მდივანი **ზ. ივანაშვილი,** რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილე **უ. ობოლაძე,** თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი **მ. გოჩალეიშვილი,** ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი **ე. გვეტაძე,** კომკავშირის ჩოხატაურის რაიკომის პირველი მდივანი **დ. ქერქაძე,** ქობულეთის მეორე ჩაის ფაბრიკის მთავარი აგრონომი, სოციალისტური შრომის **ნ. ჭელებაძე,** სოციალისტური შრომის გმირი **ნ. ონნაშვილი,** სოციალისტური შრომის **ა. ბერიკაშვილი,** ბორჯომის ... **ბ. ... ტოფოლიანს,** თბილისის საქალაქო საბინაო სამმართველოს საბინაო სამმართველოს პარიკმახერს **ს. ი. გეგრიტაშვილს,** თბილისის პირველი მაისის რაიონის სპეცმეურნეობის მეეზოეს **ხ. გ. კოტოიანს,** თბილისის საქალაქო საბინაო სამმართველოს საბინაო სამმართველოს სარემონტო-სამშენებლო კანტორის უფროსს **გ. ბ. მუსერიძეს,** ქ. თბილისის რესტორან „ინტურისტის“ ოფიციანტს **ნ. გ. არჩვაძეს,** ქ. თბილისის სასტუმრო „ინტურისტის“ მძღოლს **ი. დ. ძელურს,** საქართველოს სსრ მინიჭატრთა საბჭოსთან არსებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს განყოფილების უფროს **ზ. ვ. ბერიშვილს** და სხვებს.

მედალი **„შრომითი წარჩინებისათვის“** მიიღეს თბილისის კანალიზაციის ტრესტის მუშამ **ზ. მ. ბერიძემ,** საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს უფროსმა ეკონომისტმა **ე. ქ. განჯუმოვამ,** ქ. თბილისის სასტუმრო „თბილისის“ უფროსმა დამლაგებელმა **ე. ვ. იარცევამ,** სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის უფროსმა ინკასტატორმა **ა. ხ. კაპანაძემ** და სხვებმა.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვები წარმოთქვეს სოციალისტური შრომის გმირმა **შ. ი. ქორფაშვილმა,** თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა **ა. ა. ქაჯაიამ,** სსრ კავშირის მშენბანაკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველმა **მ. კ. ჩიქობავამ.**

გ. ს. ძოწენიძემ გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულთ, უსურვა მათ ჯანმრთელობა და წარმატებანი ცხოვრებაში.

(საქდესი).

ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ორგანიზაცია ლენინური კომკავშირის უმცროსი ამხანაგი და თანამებრძოლი, მისი მებრძოლი რეზერვია. აი რატომ განიხილეს ესხოდენ დიდი ინტერესით საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის მონაწილეებმა დღის წესრიგის „პიონერთა საკითხი“.

მოხსენება — „რესპუბლიკის პიონერთა ორგანიზაციისადმი ხელმძღვანელობის შემდგომი განვითარების საქმეში რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის ამოცანები სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის II პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით“ — გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ო. ჩერქეზიამ.**

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ნინაბა,** საქართველოს ალკკ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ლ. სანაკოევი,** საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **შ. კიკნაძე,** კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **გ. გაბუნია,** მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **გ. წითლიძე,** გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქტორი **ვ. ცერცვაძე,** გორის მე-8 საშუალო სკოლის პიონერხელმძღვანელი **მ. ჩიკვაიძე,** საქართველოს ალკკ აბაარის საოლქო კომიტეტის მდივანი **ხ. ჯაველიძე,** კომკავშირის საგარეო რაიკომის პირველი მდივანი **ზ. ივანაშვილი,** რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილე **უ. ობოლაძე,** თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი **მ. გოჩალეიშვილი,** ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი **ე. გვეტაძე,** კომკავშირის ჩოხატაურის რაიკომის პირველი მდივანი **დ. ქერქაძე,** ქობულეთის მეორე ჩაის ფაბრიკის მთავარი აგრონომი, სოციალისტური შრომის **ნ. ჭელებაძე,** სოციალისტური შრომის გმირი **ნ. ონნაშვილი,** სოციალისტური შრომის **ა. ბერიკაშვილი,** ბორჯომის ... **ბ. ... ტოფოლიანს,** თბილისის საქალაქო საბინაო სამმართველოს საბინაო სამმართველოს პარიკმახერს **ს. ი. გეგრიტაშვილს,** თბილისის პირველი მაისის რაიონის სპეცმეურნეობის მეეზოეს **ხ. გ. კოტოიანს,** თბილისის საქალაქო საბინაო სამმართველოს საბინაო სამმართველოს სარემონტო-სამშენებლო კანტორის უფროსს **გ. ბ. მუსერიძეს,** ქ. თბილისის რესტორან „ინტურისტის“ ოფიციანტს **ნ. გ. არჩვაძეს,** ქ. თბილისის სასტუმრო „ინტურისტის“ მძღოლს **ი. დ. ძელურს,** საქართველოს სსრ მინიჭატრთა საბჭოსთან არსებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს განყოფილების უფროს **ზ. ვ. ბერიშვილს** და სხვებს.

მედალი **„შრომითი წარჩინებისათვის“** მიიღეს თბილისის კანალიზაციის ტრესტის მუშამ **ზ. მ. ბერიძემ,** საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს უფროსმა ეკონომისტმა **ე. ქ. განჯუმოვამ,** ქ. თბილისის სასტუმრო „თბილისის“ უფროსმა დამლაგებელმა **ე. ვ. იარცევამ,** სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის უფროსმა ინკასტატორმა **ა. ხ. კაპანაძემ** და სხვებმა.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვები წარმოთქვეს სოციალისტური შრომის გმირმა **შ. ი. ქორფაშვილმა,** თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა **ა. ა. ქაჯაიამ,** სსრ კავშირის მშენბანაკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველმა **მ. კ. ჩიქობავამ.**

გ. ს. ძოწენიძემ გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულთ, უსურვა მათ ჯანმრთელობა და წარმატებანი ცხოვრებაში.

(საქდესი).

ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ორგანიზაციათა ლენინური კომკავშირის ... ...

საერთაშორისო ცხოვრება

მეგობრობის, თანამშრომლობის ინტერესებისათვის

ლონდონი, 24 თებერვალი. (საკ-დესი). ლონდონში დღეს ხელი მოაწერეს სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობათა ახალ შეთანხმებას 1967-69 წლებში მეცნიერების, ტექნიკის, განათლებისა და კულტურის დარგში კავშირ-ურთიერთობის შესახებ.

შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ მხარეებმა გამოაქვეყნეს ერთობლივი კომუნიკე, რომელშიც გამოთქვეს რწმენა, რომ ახალი შეთანხმება ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ხალხთა ურთიერთგაგების განმტკიცებას და დიდმნიშვნელოვანი წვლილი იქნება ორი ქვეყნის მეგობრობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებაში.

პატრიოტს საფრთხე მოელის

პარიზი, 25 თებერვალი. (საკდესი). სასტიკი გასამართლება მოელის ესპანელ პატრიოტს ფერნანდო ესკრიგა ფუერიოს. ფუერიოს, რომელიც ემიგრანტად იყო საფრანგეთში, ესპანეთის საკონსულომ აღუთქვა, რომ არაფერს ავნებდნენ ესპანეთში, და იგი სამშობლოში გაემგზავრა. მაგრამ ესპანეთში დაბრუნებისთანავე დაპატიმრეს და სასამართლოს წინაშე წარსდგება. ფუერიოს „დანაშაული" ის არის, რომ კვების პროდუქტებს აწვდიდა ფრანკისტთა წინააღმდეგ მებრძოლ პატრიოტებს, როცა 16 წლის ყმაწვილი იყო.

ფუერიოს დაპატიმრება, წერს დღეს „ლუმანიტე", ამხილებს ესპანეთის ხელისუფალთა ყალბ განცხადებას, თითქოს გარანტიები ეძლეოდეთ სამშობლოში დაბრუნებულ პოლიტიკურ ემიგრანტებს.

კოლონიზატორთა ზარალი

დარ-ეს-სალამი, 25 თებერვალი. (საკდესი). 27 იანვარს ანგოლელმა პატრიოტებმა 67 პორტუგალიელი ჯარისკაცი დახოცეს ქალაქ გაგოკუტენიოს (მოშიკოს პროვინცია) მახლობლად გამართულ ბრძოლაში. ეს ნათქვამია ანგოლის განთავისუფლებისთვის სახალხო მოძრაობის პატრიის წარმომადგენლობის კომუნიკეში, რომელიც აქ გავრცელეს.

თებერვლის დამდეგს იმავე რაიონში ზამბიის საზღვრის მახლობლად დახოცილია კიდევ 60 პორტუგალიელი ჯარისკაცი.

ასამის შტატის ამბები

დელი, 24 თებერვალი. (საკდესი). როგორც გაზეთი „სტეტსმენი" იუწყება, გუშინ ქალაქ ნიზამაბადში (ასამის შტატი) შეტაკების დროს დახოცილია ექვსი და დაჭრილია 60-ზე მეტი კაცი. შეტაკების მონაწილეთა გასარკვად პოლიციამ ბევრჯერ გამოიყენა ცრემლსადენი გაზები. კონფლიქტი მოხდა, როცა გამოაცხადეს შტატის საკანონმდებლო კრების არჩევნების ადგილობრივი საარჩევნო ოლქის შედეგები.

ბილონგში, იუწყება გაზეთი „ინდიან ექსპრესი", შეტაკებათა შედეგად მოკლულია ერთი და დაჭრილია რამდენიმე ათეული კაცი.

ბილონგში შექმნილი დაძაბული მდგომარეობის გამო იქ გზანიან პოლიციელებს დიდ მაშვრალ ძალებს. გამზადებული იქნენ ჯარებიც.

უ ფანის მოხსენება უშიშროების საბჭოს

ნიუ-იორკი, 24 თებერვალი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა დღეს მოხსენება წარუდგინა უშიშროების საბჭოს იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება საბჭოს 1966 წლის 18 დეკემბრის რეზოლუცია სამხრეთ როდეზიის საკითხზე. უ ტანი აღნიშნავს, რომ ჯერჯერობით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთაგან მხოლოდ 72 სახელმწიფომ უპასუხა კითხვას, თუ რა ღონისძიებანი განახორციელეს ამ რეზოლუციის შესასრულებლად, რომელიც, კერძოდ, ითვალისწინებს შერჩევით იძულებითს ეკონომიურ სანქციებს რასისტული სმიტის რეჟიმის წინააღმდეგ.

მეტმა წილმა სახელმწიფოებმა პასუხში აღნიშნეს, რომ შეწყვეტეს ვაჭრობა სამხრეთ როდეზიასთან და ახლა ურთიერთობა არა აქვთ სმიტის რეჟიმთან.

სახელმწიფოთა მნიშვნელოვან ნაწილს ჯერ არ გაუცია პასუხი გენერალური მდივნის კითხვაზე, როგორც აღნიშნულია მოხსენებაში, ამ სახელმწიფოთა რიცხვში შედიან ისინიც, „ვისაც არსებითი ვაჭრობა აქვს სამხრეთ როდეზიასთან".

პორტუგალიის მთავრობამ ნაცვლად იმისა, რომ შეესრულებინა უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, 3 თებერვლის წერილში მოითხოვა... „უთანაზომო „ზარალი", რომელიც პორტუგალიის კოლონიამ — მოზამბიკმა გაიცადა სამხრეთ როდეზიის მიმართ გამოყენებული ეკონომიური სანქციების შედეგად. ამ მოთხოვნის თავზედური ხასიათი მით უფრო ცხადი ხდება, რომ სალაზარის რეჟიმი აქტიურად უჭერს მხარს სამხრეთ როდეზიას და ფუშავს ეკონომიურ სანქციათა განხორციელებას.

სმიტის რეჟიმის მეორე მოკავშირემ — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ საეროდ არ უპასუხა უ ტანის კითხვას.

ამერიკა კონგრესის სენატში

ვაშინგტონი, 25 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატში კვლავ იხილავენ კანონპროექტს, რომ დამატებით გამოიყოს 4,5 მილიარდი დოლარი ვიეტნამის ომის საჭიროებისათვის.

როგორც ცნობილია, პრეზიდენტმა ჯონსონმა კონგრესს დამატებით მოსთხოვა 12,2 მილიარდი დოლარი მიმდინარე საფინანსო წლის სამხედრო ხარჯების დასაფარავად. ამ თანხიდან 4,5 მილიარდი დოლარი განკუთვნილია თვითმფრინავების, რაკეტებისა და სხვა სამხედრო ტექნიკის მშენებლობისათვის, რომლებსაც სამხრეთვიეტნამელი პატრიოტების წინააღმდეგ ომში გამოიყენებენ.

კამათის დაწყებისთანავე კონსერვატორმა სენატორებმა, ანუ როგორც მათ აქ უწოდებენ „ქორებმა", მბარი დაუჭირეს დამატებითს სამხედრო ასიგნებას, სენატის შეიარაღებული ძალების სამეთაო თავმჯდომარის რასელის შემდეგ, რომელმაც მოითხოვა ვიეტნამის ომის შეფდგომი გაფართოება, კანონპროექტს მხარი დაუჭირა ი. ჯექსონმა. მან თავის კოლეგებს მოუწოდა „აშკარად განაცხადონ, რომ ეთანხმებიან პრეზიდენტ ჯონსონის პოლიტიკას" სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

ლიბერალურად განწყობილმა სენატორებმა ახლანდელ კამათის დროს გააღაშქრეს დამატებით სამხედრო ასიგნებათა წინააღმდეგ, გაანცხადეს რომ საჭიროა მოლაპარაკების გზით მოწესრიგდეს ვიეტნამის კონფლიქტი.

ჯოზეფ კლარკმა თავის გამოსვლაში დაგმო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვა და „ამორალური" უწოდა მას. კლარკმა აღრეთვე განაცხადა, რომ სენატორებმა უფრო მეტი რომ უნდა გააკეთონ, ვიდრე წერრ წერილები პრეზიდენტს, წარმოთქვან სიტყვები და დაგმონ ხოლმე ვიეტნამის ომის ესკალაცია.

კლარკმა შემდეგ შესწორება შეიტანა კანონპროექტში დამატებით ასიგნებათა შესახებ. რასაც მხარი დაუჭირა სენატორმა მორზემ. ეს შესწორება მიზნად ისახავს როგორმე შეზღუდოს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ექსპანსია ვიეტნამში.

ბუნდესვერის რიცხვი

ბონი, 24 თებერვალი. (საკდესი). ამჟამად დასავლეთ გერმანიის არმიის რიცხვი შეადგენს 464.900-ს, აქედან სახმელეთო ძალების შემადგენლობაშია 287.500 კაცი, სამხედრო-საჰაერო ძალებისა — 98.800, სამხედრო-საზღვაო ძალებისა — 33.500 და „ტერიტორიული თავდაცვის" ჯარების შემადგენლობაში — 35.500 კაცი. ეს ციფრები მოყვანილია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურ პრეს-ბიულეტენში.

შეხვედრებათა ერთობა

ვაშინგტონი, 25 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა მაკნამარამ გუშინ განაცხადა, რომ შეერთებული შტატების მთავრობაში არავითარი შეხედულებათა სხვადასხვაობა არ არის ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვის მიზანშეწონილობის საკითხზე.

მაკნამარამ „კორესპონდენტები მიიწვია პენტაგონში რათა, როგორც მან თქვა, ბოლო მოეღო ხმებისათვის, თითქოს მას და სახელმწიფო მდივან რასკს ოთანხმოება ჰქონდეთ ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვის საკითხზე.

„არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, — განაცხადა მაკნამარამ, რომ სახელმწიფო მდივანსა და თავდაცვის მინისტრს სხვადასხვა შეხედულება ჰქონოდეთ დაბომბვის გამო, და არც ერთი შემთხვევა, რომ მათი რეკომენდაციები დაბომბვის მიზნების შესახებ სხვადასხვა ყოფილიყოს".

ბრძოლა ჰაიფონგზე

ჰანოი, 24 თებერვალი. (საკდესი). ამერიკელ ავიაბომბდამშენთა ჯგუფმა ბომბი ესროლა ჰაიფონგის ნავსადგურ-ქალაქს, ანუ ადგილს, სადაც ეს ქალაქი ოდესღაც ყოფილა. ეს ადგილი ამჟამად ნანგრევებად ქცეულა. ამ ადგილიდან ოთხი კილომეტრის მანძილზე ამოიზრდება ახალი ქალაქი, ოღონდ ეს ქალაქი ბეტონისგან, ფოლადისგან, ალუმინისგან, ფანჯრებისგან, ბაღებისგან, ბულვარებისგან, ბაზრებისგან, ბანკებისგან, ბანოებისგან, ბინებისგან, ბალნეოლოგიური ბანოებისგან, ბიბლიოთეკებისგან, ბიბლიოფილებისგან, ბიბლიოგრაფებისგან, ბიბლიოგრაფიებისგან, ბიბლიოტეკარებისგან, ბიბლიოტეკებისგან, ბიბლიოტეკებისგან, ბიბლიოტეკ

ტურისტული მატარებლით — ასპინძა-თბილისი

ასპინძელთა საქმეები

გუშინ დედაქალაქში ტურისტულ-თეატრალურ მატარებელ „შოთა რუსთაველით" სტუმრად ჩამოვიდნენ ასპინძის რაიონის მშრომელთა ექსკურსიის მონაწილენი.

ასპინძელებმა დათვალიერეს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი, ცოცხალი ყვავილების გვირგვინით შეამკეს ლენინის, რუსთაველის ძეგლები და სხვ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ნახეს სპექტაკლი „გზება".

სტუმართმოყვარულად შეგვხვდა ასპინძელებს მასპინძელი თბილისი...

შარშან რუსთაველის ხსოვნის პატივსაცემად რაიონის მშრომელებმა კიდევ უფრო გაალამაზეს დაბა და სოფლები. მარტო ერთ წელიწადს 300-მდე ოჯახმა აიშენა კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ბინები. დაბა ასპინძაში აშენდა მაღალი ძაბვის ქვესადგური, სოფელ რუსთავში დაიდგა მონუმენტური ობელისკი. გაკეთდა შოთა რუსთაველის წყარო, ორ კილომეტრ სიგრძეზე დაირგო 600 ძირზე მეტი სამი მეტრის სიმაღლის ფიჭვის ხეები. რაიონის მშრომელთა ყოფაცხოვრებაში მტკიცედ მკვიდრდება ცისფერი ალი, ტელეფონი.

ასპინძელები საიუბილეო წელს სასახელო მაჩვენებლებით შეხვდნენ. გადაჭარბებით შესრულდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალებანი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრის მიზნით ასპინძელები შრომითს ვახტზე დადგნენ და იკისრეს: სახელმწიფოს მიაყიდონ 2.400 ცენტნერი მარცვლეული, 3.500 ცენტნერი ხილი, 4.200 ცენტნერი კარტოფილი და 1.400 ცენტნერი ბოსტნეული. საიუბილეო წლის ვალდებულებანი ითვალისწინებენ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გაფართოებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, მატერიალური დაინტერესების პრინციპების განუხრელ განხორციელებას.

რაიონის კოლმეურნეობებმა უკვე გადადგეს პირველი ნაბიჯები. სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა 10 მარტისათვის შესრულდება. რძისა უკვე 102 პროცენტით არის განაღდებული. ნორმალურად მიმდინარეობს პირუტყვის გამოზამთრება. რაიონის თითქმის ყველა კოლმეურნეობა მზად არის საგაზაფხულო თესვის დაწყებისათვის.

ლ. ცინაძე,

ასპინძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

შეამოწმეთ, ვინ რა მოიგო

ბედნიერი ბილეთები

ჰიათურა. (საკ. კორ.) ... ქალაქში გაიმართა ფულისა და ნივთების 1967 წლის მეორე გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი.

სანამ ოფიციალური ცხრილი გამოქვეყნდებოდეს, გთავაზობთ რამდენიმე დიდი მოგების ნომერს.

ავტომანქანა „ვოლგა" ხვდა 41361 სერიის № 280, 42265 სერიის № 468 ბილეთებს.

მსუბუქ ავტომანქანა „მოსკვიჩს" მიიღებენ ის პირნი, ვისაც აქვთ 41348 სერიის № 008, 41399 სერიის № 142, 42999 სერიის № 493, 43098 სერიის № 116 ბილეთები.

„ზაპოროჟეცის" მფლობელნი გახდებიან 41520 სერიის № 443, 42123 სერიის № 208, 42514 სერიის № 287 ბილეთების პატრონები.

• ცნობისმოყვარეთათვის •

ვინა ხარ ჯენ, დელფინო?

დელფინი და ადამიანი

ამ ბოლო წლებში იმდენი იწერება დელფინების „გონიერებაზე", ადამიანებთან მათს დამოკიდებულებაზე, რომ მკითხველებს, ბუნებრივია, აინტერესებთ, რაც შეიძლება მეტი იცოდნენ ზღვებისა და ოკეანეების ამ განსაცვიფრებელი ბინადრების შესახებ.

მცირეოდენი შემოკლებით ვბეჭდავთ ჟურნალ „ოკეანეს სეტყვაში" (№ 1, 1967 წ.) გამოქვეყნებულ წერილს, რომელიც მომზადებულია უცხოეთის პრესის მასალების მიხედვით.

ერთხელ ღვინისა და მიწიერ სიხარულთა ღმერთმა დიონისემ ჩვეულებრივი მოკვდავის ტანსაცმელი ჩაიცვა, ხომალდზე დაჯდა და ნაქსოსს გაემგზავრა. მგზავრობაში მან შეიტყო, რომ მეზღვაურები დატყვევებას და მონად გაყიდვას უპირებდნენ. დიონისემ თავისი ღვთიური ძალა იხმარა და ხომალდის ნიზბები გველებად აქცია. დამფრთხალი მეზღვაურები წყალში გადაცვივდნენ და ალბათ დაილუპებოდნენ კიდეც, სულგრძელ პოსეიდონს რომ დელფინებად არ გადაექცია ისინი.

და მას შემდეგ დელფინებს არ დაეწყვიტათ, რომ ოდესღაც ადამიანები ყოფნენ...

ამ ლეგენდაზე წერს ძველი რომაელი ისტორიკოსი ოპიანე.

პლუტარქე მოგვითხრობს, რომ დელფინებმა დაღუპვას გადაარჩინეს ტელემაქე, ოდისევსის შვილი, როცა წყლის ზედაპირზე იჭერდნენ და ნაქსოსს მიაცურებდნენ მას. ჰეროდოტე აღწერს, თუ როგორ დატყვევეს მეგობრეებმა პოეტი არიონი, რომ იგი ნაოსნობიდან გამარჯვებული ბრუნდებოდა მშვენიერ საბერძნეთში. ისინი წყალში გადაგდებას უპირებდნენ მას, მაგრამ სიკვდილის წინ ნება მისცეს უკანასკნელად დაეკრა ქნარი. საკვადის ნაზმა ხმამ მიიზიდა ერთი დელფინი და როცა არიონი წყალში გადაეგდეს, მან პოეტი ზურგზე შეისვა და ნაპირზე გიიყვანა. ამ არაჩვეულებრივი შემთხვევის აღსანიშნავად სამახსოვრო მედალიც კი მოუჭრიათ.

და ეს მხოლოდ ყველაზე უფრო ცნობილი ამბებია იმ აურაცხელ ბერძნულ, ლათინურ, ინდურ, პოლინეზიურ თუ ავსტრალიურ ლეგენდებს შორის, რომლებიც მოგვითხრობენ ადამიანისადმი დელფინების მეგობრული დამოკიდებულების შესახებ.

რა არის ეს — მხოლოდ ლეგენდები, თუ ჭეშმარიტებათა ჩაწერის რაღაც თავისებური ფორმა?

1950 წელს ფლორიდის უნივერსიტეტის დოქტორმა კეროგმა მოახდინა ცდა იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ შეუძლიათ დელფინებს წყალქვეშ ორიენტირება მაშინაც კი, როცა რაიმეს დანახვა შეუძლებელია. ღამით ან ამღვრეული წყალში ისინი მტკიცედ მიემართებოდნენ ხოლმე ხელოვნურად შექმნილ დაბრკოლებაში არსებული გასასვლელისაკენ.

მალე გამოირკვა, რომ დასვენების დროს დელფინი პერიოდულად გამოსცემს ხმებს („ბიპ... ბიპ... ბიპ...", ხოლო, როცა რაიმე შეაშფოთებს, გამოსცემს სხვა სიგნალების სერიას, ამასთან ინტერვალები სიგნალებს შორის მცირდება საფრთხის მოახლოებასთან დაკავშირებით.

დელფინები თითქოს სივრცეს სინჯავენ ამ ბგერითი სიგნალებით, რომლებსაც დიდი დიაპაზონი აქვთ — ადამიანისათვის გასაგონი სიხშირიდან იმ სიხშირეებამდე, რომელიც ათობით და მეტჯერ აღემატება ჩვენი ყურისათვის მისაწვდომს. ბგერათა ეს-დენ დიდი დიაპაზონის მეშვეობით დელფინს შეუძლია მიიღოს დიდძალი ინფორმაცია, რაც მას წყლის სტიქიაში ორიენტირების საშუალებას აძლევს.

ექსპერიმენტული გზით (თვით დელფინების „თანამშრომლობის" წყალობით) დადგენილ იქნა, რომ დელფინებს ძალუძთ დიდ მანძილზე განსაზღვრონ თევზების სიდიდე. შეუძლიათ (იმ შემთხვევაშიც კი, თუ სპეციალურად აუკრავენ თვალებს) განასხვავონ თევზი სხვა რომელიც ბეგებავთ საგნისაგან, თუნდაც მას თევზის ფორმაც ჰქონდეს.

საოცარია, რომ პრაქტიკულად უშეცდომო ექოლოტის გარდა დელფინებს აქვთ შესანიშნავი მხედველობა როგორც წყალს ზემოთ, ისე წყალში. დელფინს, მაგალითად, შეუძლია წყლიდან ამოსტაკეს და თავისი საშინელი ყბებით გასაოცარი დელიკატობით გამოართვას სიგარეტი ტუჩებიდან მწვრთნელს, რომელიც წყალს ზემოთ სამი მეტრის სიმაღლეზე გადებულ ბოგირზე წევს.

ბბმრეიმი ლოკატორი, თუ ექოლოტი, რომელიც ბუნებას უბოძებია მისთვის, დელფინს წარმოდგენას აძლევს არა მარტო მანძილის, არამედ ფორმის, სიდიდისა და სიმკვრივის შესახებაც — ყველა იმ მექანიკურ თვისებებზე, რომელიც „გამოსაკვლევ" საგნებს აქვთ.

ბიოლოგმა კენეტ ნორისმა მოაწყო რამდენიმე ცდა, რათა დაედგინა, თუ რამდენად სრულყოფილია დელფინის ბგერითი ლოკატორი. მან გამოარკვია, რომ ერთ-ერთი სახეობის ძუ დელფინს ბრმად შეუძლია 80 სანტიმეტრ მაძიძლზე განასხვავოს ერთმანეთისაგან 6,3 სანტიმეტრისა და 5,8 სანტიმეტრი დიამეტრის ბურთულები. და რაკი მეცნიერმა მისი მოტყუება განიზრახა და შეეცადა დედა-დელფინი ეიძულებინა ერთმანეთისაგან განასხვავებინა ერთნაირი ზომის ბურთულები, მან გადაჭრით გაუწია წინააღმდეგობა, თითქოს განუცხადა: „ვის ატყუებ, მაგას ვინ ჰამსო".

კალიფორნიელმა დოქტორმა ჯონ დრეერმა, აკუსტიკის ექსპერტმა და ვეშაპისეგრთა მკვლევარმა, 1962 წელს ექსპერიმენტები ჩაატარა ნენარ ოკეანეში. მან წყალქვეშ მოაწყო წინააღობა ალუმინის ღეროებისგან. დელფინები ზინაღობას 400 მეტრზე რომ მიუახლოვდნენ, ერთბაშად შედგნენ.

შემდეგ ერთი — „მზვერავი" — გუნდს გამოეყო და მეთოდურად შეუდგა წინაღობის გამოკვლევას, თან რეგულარულად ბრუნდებოდა ხოლმე „თავისიანებთან". „დაზვერვითი ოპერაციები" და „დისკუსიები", რომლებიც მათ თან ახლდა, სამჯერ გაგრძელდა. შემდეგ „ხმების უმოგალესობით" დელფინებმა, როგორც ჩანს, გადაწყვიტეს, რომ ღეროები საფრთხეს არ წარმოადგენდნენ მათთვის და გზა განაგრძეს.

მსგავსი მაგალითები ხშირია სამეცნიერო ლიტერატურაში. შეიძლება დელფინებს მართლაც აქვთ თავისი ენა? მაგრამ მსგავსთა შორის ენობრივი ურთიერთობის ნიჭი ხომ გონების არსებობის ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენს...

დოქტორი დრეერი და მისი კოლეგა ვერ ეგრეულარულად აწარმოებდნენ აუზში დელფინების „ლაპარაკის" ჩაწერას. მათ შეძლეს განესხვავებინათ სისინის ოცდათორმეტი სახე, პრაქტიკულად — ოცდათორმეტი სალაპარაკო ენობა. ცალკეული შემთხვევაში მეცნიერებმა მათი გამოფრვაც შეძლეს. ერთ-ერთი მათგანია დასახმარებლად მოხმობა, ნამდვილი „SOS"-ი. ბევრ შემთხვევაში, ზღვასა თუ აუზში დაკვირვებათა საფუძველზე, შესაძლებელი აღმოჩნდა იმის დადგენა, რომ „SOS"-ის პასუხად დელფინების გუნდები მიიჩქარიდნენ იმ ადგილისაკენ, რათა „მხარში ამოსდგომოდნენ" და წყალს ზემოთ დაეჭირათ თავიანთი დაჭრილი თუ ავადმყოფი თანამოძმე.

დადგენილ იქნა აგრეთვე ისიც, რომ, როცა ძუ დელფინს შობიაობის დრო დაუდგება, იგი გამოსცვამს განსაკუთრებულ სტვენას და მისი უახლოესი „მეგობარი ქალი" დაუყოვნებლივ მიეშურება მისკენ. თანაშემწე გარს უტრიალებს ლეკვს, და, როცა ახალშობილი ჩნდება (დელფინი იბადება კუდით წინ, სხვანაირად იგი მაშინვე დაიხრჩობოდა), დედას ეხმარება ზედაპირზე ამოაგდოს შვილი, რათა მან პირველად ჩასუნთქოს აერი. უფრო მეტიც, იგი რამდენიმე კვირის განმავლობაში დაცურავს მათ გვერდით და როცა დედა დრეებით ტოვებს ახალშობილს, რათა საზრდო მოიპოვოს, ჩვილს „უხის" და უვლის.

შემდეგ დელფინებს შუა კედელი ჩადგეს. მათ ძველებურად შეეძლოთ წყალქვეშ ხმა მიეწვდინათ ერთმანეთისათვის, მაგრამ შუქის დანახვა მხოლოდ დორისს შეეძლო. და აი, როცა ბასტიანმა შუქი ჩართო, დორისი დადგა ბერკეტების წინ და გამოსცა ბგერების სერია — კედლის იქით მყოფი ბაზი მაშინვე მიხვდა, თუ რომელ ბერკეტზე უნდა დაჭერა დინგი.

ნუთუ დორისმა უკარნახა ეს? თუ უბრალოდ ხვდებოდა ამას? ცდა გაიმეორეს ათობით შემთხვევაში და ბაზი სწორად მოქმედებდა თითქმის ყოველთვის. ბასტიანი ჯერჯერობით არ აკეთებს საბოლოო დასკვნებს. ექსპერიმენტი გრძელდება.

დელფინის რთული აზროვნების უნარის თითქმის დაუჯერებელი მაგალითი მოჰყავს ბიოლოგ დავიდ ბრაუნს. „ერთმა დელფინმა, — წერს მეცნიერი, — გამოიყენა სატყუარა, რათა სოროდან აუზის კედლოვან ფაკერზე გამოეტყუებინა მურენა. შემდეგ მან კბილები სტაცა მურენას, ეამოთრია აუზის შუაგულში, ხოლო შემდეგ გაუშვა და განდევნა".

აი დელფინის მოქმედება, რომელსაც აკვირდებოდა ბრაუნი.

დელფინმა: 1) სათამაშოდ შეარჩია მურენა; 2) უშედეგოდ მოსინჯა მურენას გამოთრევა სოროდან კლდის ქვეშ გამოჩრილ კუდში კბილების ჩავლებით; 3) მუცელში (ეს ერთადერთი დაუცველი ადგილია) დინგის დარტყმით მოკლა შხამიან ეკლებიანი თევზი; 4) ფრთხილად ჩაალოო მუცელში კბილები; 5) მურენას კუდში უჩხვლიტა თევზის შხამიანი ეკალი; 6) გადაგდო თევზი, რათა კბილები ეტაცნა სოროდან გამომხტარ მურენასათვის; 7) თავი გაირთო იმით, რომ მურენას წყალს ზევით ისროდა და ჰაერშივე იჭერდა, სანამ ეს თამაში არ მოსწყენოდა. დელფინი არ იკვლევდა არც მურენას და არც შხამიანი თევზის ხორცით — ყველაფერი ეს მან გაკეთა მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რათა წაეთამაშა.

დელფინის აზროვნების პროცესი,— აღნიშნავს დოქტორი ლილი, — განსაკუთრებით სწრაფად მიმდინარეობს. დელფინი ტაფი ფოსტალიონად ემსახურებოდა აკვანავტებს, რომლებიც კალიფორნიის ნაპირებთან კვლევას აწარმოებდნენ „სილებ-II" პროგრამით. მას პლასტმასის მოსართავით აღაჭაზმეს წყალშეუვალი მილაკით ფოსტა დაჰქონდა წყალქვეშა სახლიდან ზღვის ზედაპირზე და უკან. ამას გარდა იგი აკვანავტებს უზიდავდა ხელსაწყოებსა და ინსტრუმენტებსაც.

ერთხელ ერთ-ერთმა წყალქვეშელმა თავი მოაჩვენა, თითქოს „სახლისკენ" მიმავალი გზა ვერ ეიპოვნეო. ტაფი მაშინვე მიცურდა მასთან საშველი ნეიოლონის თოკით, რომლითაც „გზადაბნეული" წყალქვეშა სახლში მიიყვანა.

ჰარვარდის სამედიცინო სკოლის დოქტორმა პიტერ მორგანმა კი შეკითხვაზე — მართალია, თუ არა, რომ დელფინის ტვინი ადამიანისას არ ჩამოუვარდებაო, ასე უპასუხა: „უკეთესი — უარესი — ეს ძალზე გაურკვეველი სიტყვებია. არსებობს სულ სხვადასხვანაირი საზომები იმისათვის, რომ შევაფასოთ ტვინის ხარისხი. მაგრამ ამ საზომთა უმრავლესობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დელფინისა და ადამიანის თავის ტვინის შედარებას მივყავართ დელფინისათვის მოსაგებ დასკვნამდე. ავიღოთ, მაგალითად, თავის ტვინის ქერქი. ეს არის მისი ჭარგანი დადარული ნაწილი, რომელიც პასუხისმგებელია მეხსიერებისა და აზროვნების უმნიშვნელოვანესი ფუნქციებისათვის. მისი ღირსება რომ შეკვაფასოთ, უნდა ვიცოდეთ, რამდენად რთულია მისი ღარები. ჰოდა, დელფინის ტვინის ქერქს სულ მცირე ორჯერ მეტი ღარი თუ ნაოჭი აქვს, ვიდრე ადამიანისას.

თქვენ შეგიძლიათ იკითხოთ აგრეთვე, ტვინის ნივთიერებათა რამდენ უჯრედს შეიცავს თავის ტვინის ესა თუ ის განყოფილება. დელფინებს ის 50 პროცენტით მეტი აქვთ. კიდე? ერთი კრიტერიუმი — ეს არის ის, რასაც ჩვენ ქერქის „ფენოვანებას" ვეძახით. ვირთაგვასა და ბაჭიას სხვადასხვა სახის უჯრედთა ოთხი ფენა აქვთ თავის ტვინის დიდ ნაწილში, მაიმუნსა და ადამიანს კი ექვს-ექვსი და ამდენივე — დელფინისაც. ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, სულ ცოტა, შემეიგი: ბოთლისცხვირა დელფინს (აფალინს, შავ ზღვაშიც გვხვდება — რედ.) ძალზე დიდი, რთული და მაღალგანვითარებული ტვინი აქვს. ნიშნავს თუ არა ეს გონებას? სავალდებულო არ არის. მაგრამ ერთში კი შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ: თუ ეს ცხოველ რთული ორგანო ვითარდებოდა ევოლუციის მილიონობით წლის განმავლობაში, მას უნდა ჰქონდეს რაღაცით იმაზე მეტი დანიშნულება, ვიდრე უბრალოდ ცურვა და საკვების მიღებაა".

კომენტარს უკეთებს ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ს. ე. კლეინენბურგი (სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ცხოველთა მორფოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე).

ჩვენი საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, დელფინები ძალზე ბევრი სპეციალისტის — და არა მარტო ბიოლოგების — ყურადღებას იპყრობენ. ამ ცხოველებისადმი ინტერესი სულაც არ არის შემთხვევითი. როგორც ცნობილია, დელფინები მეკუთვნებიან ვეშაპისებრთა რაზმის კბილებიანი ვეშაპების ქვერაზმს. ვინ იყო ამ ქვერაზმის წინაპარი? მკაფიო პასუხი ამ შეკითხვაზე დღემდე არ არსებობს. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ვეშაპები წარმოშვნენ ხმელეთის რომელიღაც ოთხფეხა ძუძუმწოვრებისაგან, რომლებიც ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო იძულებული გახდნენ ხმელეთზე ცხოვრება წყალში არსებობით შეეცვალათ.

ვეშაპთა ორი ქვერაზმი (ულვაშებიანი და კბილებიანი) იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ ეს საფუძველს გვაძლევს ვფიქროთ: მათი ევოლუცია და, შესაძლოა წარმოშობაც, სხვადასხვანაირია. ყოველ შემთხვევაში, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ახალი გარემოს — წყლის სტიქიის — ათვისება მათთვის სხვადასხვა გზით წარმოებდა. ულვაშებიანი ვეშაპები გიგანტები გახდნენ და ამან მათ საშუალება მისცა გამოსულიყვნენ მტაცებელთა კონტროლიდან. ხოლო კბილებიან ვეშაპებს გაურთულდათ ცენტრალური ნერვული სისტემა (განსაკუთრებით თავის ტვინი). შესაძლებელია, სწორედ განვითარების ამ თავისებურებაში უნდა ვეძიოთ კიდეც დელფინების ჭკუის ჩოგორც ლეგენდარული, ისე ფაქტური მონაცემების ახსნა.

მაგალითად, დელფინების შესწავლაში ახლა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა მათი ექოლოკაციის პრობლემა. ერთი ცდის დროს მაგრად თვალახვეული დელფინი ახერხებდა ლაბირინთიდან გამოსვლას, თანაც ისე, რომ არ ეედებოდა არც ერთ დაბრკოლებას. დელფინის ლოკატორის სიზუსტე ისეთია, რომ იგი 25 მეტრზე „ხედავს" წყალში ჩავარდნილ საფანტის მარცვალს.

ასევე დიდ ინტერესს იწვევს დელფინების ბგერითი სიგნალიზაცია.

მაგალითისათვის დავასახელებ ერთ შემთხვევას. ერთხელ ბელუგების — ჩრდილოეთის დელფინების — გუნდი შერეკეს წინასწარ გაბმულ ბადეში, რომელსაც პატარა გასასვლელი ჰქონდა. ბადეში გაბმული მთელი გუნდი შეუდგა გასასვლელის ძებნას. ნახვრეტის წინ ტრიალებდა ერთი პატარა ბელუგა — იგი დაახლოებით 300 მეტრზე იყო დანარჩენებისაგან. შემდეგ იგი გასრიალდა ნახვრეტში და თავისუფალი აღმოჩნდა. წამიც, და მთელი გუნდი შემობრუნდა და ნახვრეტთან გაჩნდა. ორ-სამ წამში ბადე დაიცალა. ეს და სხვა ანალოგიური მაგალითები იმაზე მეტყველებენ, თუ რაოდენ სწრაფია დელფინების რეაქცია, რაოდენ განსაცვიფრებელია მათი სიგნალიზაციის სისწრაფე და სიზუსტე. უდავოა, დელფინების „ენის" გაშიფვრა ძალზე რთული საქმეა, მაგრამ რაღაც წარმატებებს მეცნიერებმა მაინც მიაღწიეს. უკვე ახლა შეგვიძლია გამოვყოთ განგაშის სიგნალები, ბგერები, რომლებსაც სხვადასხვა დელფინები იყენებენ ურთიერთშორის კავშირის დასამყარებლად გუნდში, მიმხმობი სატრფიალო ბგერები.

მაგრამ შეიძლება თუ არა ვილაპარაკოთ დელფინის მიერ ჩვენი ენის შეგნებულ ათვისებაზე? ფიზიოლოგი ჯონ ლილი, რომელსაც ბევრ ცხოველზე და მათ შორის ადამიანისმაგვარ მაიმუნებზე უმუშავნია, ამტკიცებს, რომ ახერხებს დელფინებისათვის ინგლისური ენის სწავლებას, რომ მისმა „მოწაფეებმა" ისწავლეს ზოგიერთი ინგლისური ფრაზის წარმოთქმა. მაგრამ არც ლილის და არც სხვა წყაროს არ მოუყავთ დამამტკიცებელი საბუთები, რომ ამ ფრაზებს დელფინები რამდენადმე მაინც შეგნებულად წარმოთქვამდნენ.

ამიტომ, ყოველგვარ ცნობას დელფინის „ადამიანისებრი ენის" შესახებ დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რამდენადაც ეს ზნირად უბრალოდ სუნსაციურობის გამოდევნებაა ან სურვილი რაც შეიძლება მალე ვთქვათ — ბოლოს და ბოლოს დამყარებულია შეგნებული კონტაქტი ადამიანსა და დელფინს შორისო. ხოლო ეს პრობლემა, ჩემი შეხედულებით, ნამდვილად ყველაზე საინტერესოა იმ პრობლემებიდან, რომლებიც „დელფინებმა დაგვისვეს". მე მრავალი წელია ვმუშაობ ამ ცხოველებზე როგორც ჩვენი ქვეყნის სამხრეთით, ისე ჩრდილოეთით და არაერთხელ დავრწმუნებულვარ დელფინების მიხვედრილობაში, მათი რეაქციის სისწრაფეში, რომელიც ზნირად აღემატება ჩვენსას. მათს განსაკუთრებულ მეგობრობაში ადამიანისადმი, და როგორიღაც წადილში — გაუგოს ადამიანს.

მე მგონია, რომ ახლა ძნელიც კი არის წარმოვიდგინოთ ის პერსპექტივები, რომლებიც მეცნიერებას გადაეშლება, როცა სინამდვილედ იქცევა შეგნებული კონტაქტები ადამიანსა და დელფინს შორის.

მეექვსე ტრადიციული

საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჰიდაობაში

თბილისის სპორტის სასახლეს გუშინაც დიდძალი მაყურებელი ჰყავდა. თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირის მოახლოებულ ფინიშთან ბრძოლა გამწვავდა.

საჭიდაო ხალიჩაზე დილითაც მიმდინარეობდა პაექრობა და საღამოსაც. ეს იყო მეორე და მესამე წრის შეხვედრები, სადაც სპორტის მოყვარულები არა ერთი წმინდა მოგების მოწმენი იყვნენ.

უმჩატეს წონაში წარმატებით გამოდის **შეყრილაძე**. მან მორიგი წმინდა გამარჯვება მოიპოვა, 4 წუთსა და 57 წამში სძლია მეტოქეს — **კალკოვსკის** (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა). ამავე წონაში წმინდა მოგებით დაამთავრა აგრეთვე ორთაბრძოლა **აბდუქარიმოვმა** (სსრ კავშირი) ბულგარელ **აზიზოვთან**.

მჩატე წონაშიც ორი წმინდა გამარჯვება აღინიშნა. **გოგიჩაიშვილმა** მოუგო **მალიანს, აკოევმა — ალეჭსეევს**. ქვემსუბუქ წონაში მაყურებლები დიდი ინტერესით მოელოდნენ **ქარსაულიძისა** და **თედეევის** შეხვედრას. შეჯიბრებამ ვერ გამოავლინა გამარჯვებული — ფრე. **გეორგიევმა** (ბულგარეთი) ქულებით მოუგო **ლუშნიკს** (გდრ). რთული ამოცანის წინ იდგა **ხოხაშვილი** (მსუბუქი წონა). მას ოთხნახევრიანი საჯარიმო ქულა ჰქონდა და მხოლოდ წმინდა გამარჯვებისათვის უნდა ეზრუნა იუგოსლავ **ვისტოვთან** შეხვედრაში. ქართველმა მოქიდავემ სასურველ შედეგს მიაღწია. ხუთ წუთში სძლია მეტოქეს. შეუპოვარი იყო **ასლამაზიშვილისა** (ქვესაშუალო წონა) და ირანელი **იაკუბის** ორთაბრძოლა. აქ შეხვედრის ბედი **ასლამაზიშვილის** სასარგებლოდ გადაწყვეტა ერთადერთმა ქულამ. დანარჩენ წონებში შეჯიბრება გვიან ღამეც დე გრძელდებოდა.

დღეს გაიმართება გადამწყვეტი შეხვედრები.

* * *

სურათზე: შ. ლომაძის (სწრ.) და ე. ოჩირის (მონღოლეთი) შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო **შ. ჩხეტიანისა.**

ზამთრის ტურნირების ფინალები

უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა თორმეტ-თორმეტი კოლექტივი, აგრეთვე სსრ კავშირის ნაკრები გუნდები განაგრძობენ ფინალურ ბრძოლას ზამთრის ტურნირებში.

24 თებერვალს კიევსა და ლენინგრადში შედგა მეორე ტურის შეხვედრები.

კიევში სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებ გუნდს პაექრობა ჰქონდა აღგილობრივი არმიის სასპორტო კლუბის კალათბურთელებთან და გაიმარჯვა ანგარიშით 81:45. იეს საბჭოთა ნაკრების მერვე გამარჯვებაა ზედიზედ. ლიდერთა ჯგუფის მეორე წარმომადგენელმა კიევის „სტროიტელმა" კიდევ ერთი გამარჯვება ჩაიწერა აქტივში, ამჯერად დაამარცხა ლენინგრადის „სპარტაკი" 60:55. თბილისის „დინამომ" მოუგო არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის კალათბურთელებს 78:53 (33:22).

კვლავ წარუმატებლად გამოდის თბილისის „ბურევესტნიკი". ფინალის მეორე ტურში მან წააგო რიგის ვეფთან 51:63. საინტერესო გამოდგა რიგის არმიის სასპორტო კლუბისა და სვერდლოვსკის „ურალმაშის" გუნდების მატჩი. ძირითად დროში ანგარიში იყო 80:80. დამატებით დროში გაიმარჯვეს რიგელებმა 92:88. ტატეტუს „კალევმა" მოუგო აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტს 75:52.

ლენინგრადში სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა გუნდმა დაამარცხა ადგილობრივი „ბურევესტნიკი" 84:33. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებს პაექრობა ჰქონდათ კიევის დინამოელებთან და გაიმარჯვეს 69:40. დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: ტაშკენტის „ტექსტილმაში" — ლენინგრადის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი 41:56, სვერდლოვსკის „ურალმაში" — რიგის „დაუგავა" 63:45, კუბანის „პოლიტსენიკი" — მოსკოვის „სპარტაკი" 49:61, ვილნიუსის „კიბირშტიკესი" — ნოვოსიბირსკის „დინამო" 49:50.



— ბოლოს და ბოლოს კიდევ რამდენი უნდა ვიაროთ, გათბობა რომ შემოკეთონ?

— რაც შეიძლება ხშირ-ხშირად შემოიარეთ, გეთაყვა. ჩვენთან თბილა, შეგიძლიათ გათბეთ.

ნახ. კაზიმეჟ მოზოლევსკისა

უცხოური იუმორი

მკითხავი: ორმოც წლამდე შენ სიღატაკე და უბედურება გწერია.

მკითხავი: ... ვი ყოველივე ამას.

კონდუქტორი: გაიღვიძეთ, გაიღვიძეთ!

ახალგაზრდა: მე არ მძინავს.

კონდუქტორი: არ გძინავთ? მაშ თვალი რატომ გაქვთ დახუჭული?

ახალგაზრდა: ვერ ვიტანთ ფეხზე მდგომი ქალების ყურებას ხალხით გაჭედილ ავტობუსში.

ერთი მდიდარი ამერიკელი ლორდ დონის ზოოპარკს ეწვია თავის ბავშვებთან ერთად. პატარები ექსკურსიიან აღფრთოვანებულნი დარჩნენ. ამერიკელმა ერთ-ერთ მომვლელს თხოვნით მიმართა, თქვენი უფროსი მაჩვენეთ, მინდა რაღაც საქმეზე მოველაპარაკო.

— რა საქმეზე ინებებდით მოლაპარაკებას? — დაინტერესდა ზოოპარკის მფლობელი.

— ძალიან მომეწონა მხეცების კოლექცია. ჩემს პატარებს მინდა ვუყიდო სახსოვრად.

—რა გაეწყობა, — მიუგო მასპინძელმა. — მაგრამ ჩვენც სიამოვნებით შევიძენდით თქვენს პატარებს ზოოპარკისათვის.

ინგლისურიდან თარგმნა

ნუგზარ რუხაძემ.

რედაქტორი

დ. მეედლიშვილი.

მ ე ო რ ე გამარჯვება

სსრ კავშირი განაგრძობს ტურნეს ჰოლანდიის ძიუდოისტთა ნაკრები გუნდი.

მოსკოვიდან ჰოლანდიელები მინსკს ეწვივნენ და აქ მეორე საერთაშორისო შეხვედრა ჰქონდათ სსრ კავშირის ნაკრებთან. ეს მატჩი სტუმრებმა წააგეს 2:3.

საბჭოთა მოჭიდავეებიდან გაიმარჯვეს **ნათელაშვილმა, გამილაღდინშვილმა** და **იუდინმა**, სტუმრებიდან— ოლიმპიურ ასპარეზობათა და მსოფლიოს ჩემპიონმა **გეეზინკმა** და ევროპის ჩემპიონმა **რიუსკომ**. დანარჩენი შეხვედრები ფრედ დამთავრდა.

ქალაქ წარმატება

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ოლიმპიურმა ნაკრებმა მესამე მატჩი გამართა იაპონიაში ამ ქვეყნის ჩემპიონთან — ტოკიოს უნივერსიტეტის გუნდთან და გაიმარჯვა 7:1.

ჩვენი ნაკრების კალენდარი

მალე ევნაში დაიწყება მსოფლიოს პირველობის გათამაშება შაბიან ჰოკეში. ოქროს მედალელთა შორის არის საბჭოთა ნაკრები.

როგორია მსოფლიო ჩემპიონატის კალენდარი ჩვენი გუნდისათვის?

პირველობა გაიხსნება **18 მარტს** საბჭოთა კავშირისა და ფინეთის გუნდების შეხვედრით. მომდევნო დღეს ჩვენს ჰოკეისტებს პაექრობა ექნებათ ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებთან, ხოლო **22** და **23 მარტს** — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდებთან.

25 და **27 მარტს** საბჭოთა ნაკრები მატჩებს გამართავს ძლიერ მეტოქეებთან. ესენი არიან შეეციისა და კანადის ჰოკეისტები. უკანასკნელ დღეს, **29 მარტს** შედგება ცენტრალური შეხვედრა. მსოფლიოს ჩემპიონის სსრ კავშირის ნაკრების მეტოქე იქნება პირველობის ვერცხლის პრიზიორი ჩეხოსლოვაკიის გუნდი.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

26 თებერვალი

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 11.00 — გადაცემები „მაღვიძარა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — მხატვრული ფილმი „